

## მუსლიმი მესხი ლტოლვილების აკულტურაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

<sup>1</sup>ეკატერინე ფირცხალავა, <sup>2</sup>ზანდა ჩეჩელაშვილი

<sup>1</sup>ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ასისტენტ პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი

<sup>2</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი

### რეზიუმე:

ამ სტატიაში მოცემულია 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული მუსლიმი მესხების ახალ, განსხვავებულ სოციალურ გარემოში ლტოლვილად გადასახლების შემდეგ, მათ ცხოვრებაზე არსებული ცვლილებების განხილვა აკულტურაციის კონტექსტში. კვლევის მონაწილეები არიან, დეპორტირებული მესხეთის მოსახლეობის დიდი ჯგუფის ერთი ნაწილი, რომლებიც კრასნოდარის მხარიდან 2005 წელს ამერიკის მთავრობის შემოთავაზებით გადასახლდნენ შეერთებულ შტატებში. სამეცნიერო წრეებში ისინი ცნობილები არიან, როგორც თურქი მესხები ან მესხეთელი თურქები, ნაშრომში ისინი მოხენიებულია, როგორც მუსლიმი მესხები. სიღრმისეული ინტერვიუების, მცირე ჯგუფური ინტერვიუებისა და საუბრებით მიღებული მასალების საფუძველზე, გაანალიზებულია გარემოს ზეგავლენით გამოწვეული ცვლილებები მუსლიმი მესხების ცხოვრებაზე ლტოლვილად გადასვლის შემდეგ და ნაცადია მათი აკულტურაციის პროცესის აღწერა.

**საკვანძო სიტყვები:** დეპორტაცია; ლტოლვილი; ოჯახი; აკულტურაცია.

2012 წლის UNHCR<sup>1</sup> ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში 45,2 მილიონი ადამიანია, რომელიც მოცილებულია თავის საცხოვრებელ ადგილის, აქედან 17,7 მილიონი ლტოლვილია. უცხო ქვეყანაში ცხოვრება არ არის ადვილი, ახალ გარემოში ადამიანებს უხდებათ განსხვავებულ გარემოსთან შეგუება, ადაპტაცია და ზოგჯერ ასიმილიაცია. ჩვენი კვლევის მონაწილეები არიან, უნიკალური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებმაც ძალიან დიდი ცხოვრებისეული სირთულე გადალახეს. ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის, როგორც მათ საქართველოს კანონში რეპატრაციის შესახებ მოიხსენიებენ, უმრავლესობა წარმოშობით ქართველია. XVI-XVIII საუკუნეებში ოტომანთა იმპერიის მიერ, საქართველოს ამ ნაწილის დაპყრობამ შეცვალა მათი ენა, რელიგია და ცხოვრების სტილი. 1944 წელს სტალინის ბრძანებით, ყველა თურქულად მოლაპარაკე მუსლიმი, მცხოვრები საქართველო-თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე, დეპორტირებული იქნა სამხრეთ დასავლეთ საქართველოდან შუა აზიის ქვეყნებში: ყირგიზეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში. 1989

<sup>1</sup> 20 December 2013 <http://www.unhcr.org/52b310a06.html>

წელს უზბეკეთში ადგილობრივ და ჩასახლებულ მოსახლეობას შორის მომხდარმა კონფლიქტმა, კიდევ ერთხელ განაცდევინა ამ ხალხს გასახლების ტრაგედია. სამშობლოში დაბრუნების უფლების და საშუალების არ ქონის გამო ნაწილი აზერბაიჯანში, ხოლო ნაწილი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გარეშე დარჩენილებმა, დაახლოებით 20 წელი იცხოვრეს რუსეთში, კრასნოდარის მხარის ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოსახლის უფლებების გარეშე. სამშობლოში მათი რეპატრაციის საკითხის გადაწყვეტა ძალიან დიდ ხანს გაგრძელდა, რომლზეც მუშაობა ევროსაბჭოს მოთხოვნის საფუძველზე 1999 წელს დაიწყო და 2007 წელს საქართველოს პარლამენტში მისი მიღებით დამთავრდა, მაგრამ კანონი მომედებაში 2012 წელს შევიდა.

2005 წელს ამერიკის შერთებული შტატების მთავრობის შეთავაზებით ისინი ლტოლვილის სტატუსით საცხოვრებლად გადავიდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში და დღეს 33 სხვადასხვა შტატში არიან დასახლებულნი.

ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების განმარტებით, ლტოლვილობა ტრავმატული პროცესია (Marshella, Borneman, Ekbland & Orly 1994) ადგილნაცვალობა მოქმედებს ადმიანის ფსიქიკურ პროცესებზე, კოგნიციაზე, კონაციასა და ემოციაზე, და შესაბამისად, აისახება ლტოლვილთა ცხოვრებაზე. ეს გასაკუთრებით რთულია, თუ ლტოლვილებისა და მიმღები საზოგადოების კულტურები განსხვავებულია.

მუსლიმი მესხების ყველა გადაადგილება ტრავმატულ ხასიათს ატარებდა. მით უმეტეს მას მთელი რიგი გადასახლებების დროს ფონად გასდევს „სამშობლოს მიერ მიუღებლობა“ (კანონის არარსებობა, ფინანსური უზრუნველყოფის შეუძლებლობა). მათი მიუღებლობა დაიწყო საქართველოდან, გრძელდებოდა უზბეკეთში და შემდეგ რუსეთშიც. მატრავმირებელი იყო, მათი სამშობლოდან დეპორტაცია გაუგებარი მიზეზის გამო, გასახლება უზბეკეთიდან მათი განსხვავებულობის გამო და ბოლოს, ამერიკაში გადმოსვლა, რუსეთში 20 წლიანი ცხოვრების მიუხედავად მოქალაქეებად არ მიღების და უფლებების შეზღუდვის გამო.

კვლევის მიზანი იყო დაგვეჩვენა რა გავლენა იქონია ახალმა გარემომ, ამერიკის შერთებულ შტატებში ცხოვრების გამოცდილებამ, მუსლიმი მესხების ცხოვრებაზე; როგორია მათი ფსიქო-სოციალური გამოცდილება, როგორ მიმდინარეობს აკულტურაცია ამ გარემოში.

### თეორიული მიმოხილვა

აკულტურაცია (კულტურული ან ქცევითი ასმილიაცია) ეს არის ახალ გარემოში გადასვლის შემდეგ, მიგრირებული ადამიანების მიერ, დამხვედრი საზოგადოების ქცევითი და კულტურული წესების მიღება - გათავისება. აკულტურაცია მოიცავს 4 საფეხურს (Berry and all 1986) 1. ინტეგრაცია (კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე) 2. განვითარება (დაინტერესება- ჩართვა მხოლოდ კულტურული პიროვნულობის შენარჩუნებით) 3. სეპარაცია (გამოყოფა ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობით-იდენტურობით დაინტერესება)

4.მარგინალიზაცია (სოციალური იზოლირება -ნაკლები ინტერესი გარემოს მიმართ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების გამო)

ლტოლვილთა აკულტურაციის (Berry 2003) პროცესი შემდეგი სახით მიდინარეობს: ახალ გარემოში გადასული ლტოლვილების კულტურა, ადამიანური უფლების დარღვევის გამოცდილება, ხვდება დამხვედრი საზოგადოების კულტურას და დასახლების არსებულ პოლიტიკას. ეს გავლენას ახდენს კულტურულ ცვალებადობაზე, ინდივიდუალურ თავისებურებებზე ( პიროვნულ, გენდრულ, განვითარების და მომსახურების, ასევე სოციალური მხარდაჭერის ფაქტორებზე და ზოგადად ადამიანის უფლებებზე). კულტურული ცვალებადობა და ინდივიდუალური თავისებურებები გავლენას ახდენენ ფსიქოლოგიურ აკულტურაციაზე. ეს პროცესი ორმხრივია ის გავლენას ახდენს, როგორც დამხვედრ, ისე ჩამოსულ საზოგადოებაზე. ინდივიდუალურ დონეზე ფსიქოლოგიური აკულტურაცია ხდება შემდეგნაირად- მიმღები ქვეყნის კულტურის წარმომადგენელი ინდივიდები გავლენას ახდენენ ჩამოსული ადამიანების (ლტოლვილების) ინდივიდუალურ ქცევებზე და აკულტურაციული სტრესის დონეზე. ამავდროულად, ლტოლვილთა ჯგუფის ინდივიდები იღებენ ქცევით ცვალებადობას და აკულტურაციულ სტრესს, ადაპტაცია ხდება მიმღები კულტურის ინდივიდებისთვისაც და ლტოლვილთა ჯგუფების ინდივიდებისთვისაც, ადაპტაცია ხდება, როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სოციო-კულტურულ დონეზეც. ამასთან, ლტოლვილებისთვის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს ემატება ტრამვული გამოცდილებაც.

ცნობილია, რომ იმიგრანტებისთვის უკეთესია ისეთი ახალი გარემო, სადაც მათი მსგავსი რელიგია ან ენაა. ეს კარგი საფუძველია, რომ მოხდეს ამ ჯგუფის უკეთესი ადაპტაცია, აკულტურაცია და ზოგჯერ ასიმილაცია. (Oudenhoven 2006). გორდონისა Gordon (1964) და ბერის Be'rry(1997) აკულტურაციისა და ასიმილაციის თეორიებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამერიკაში ლტოლვილად გადასახლების პროცესი მაჰმადიანი მესხებისათვის არც თუ ისე იოლია. ეს განპირობებულია იმით, რომ ისინი კოლექტიური კულტურული იდენტობის მატარებლები არიან (Shakibai, 2005) ამისგან განსხვავებით კი მიმღები გარემო მკაცრად ინდივიდუალისტურია.

მუსლიმი მესხების შესახებ არსებული გამოკვლევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაჰმადიანი მესხები გარემოს ეგუებოდნენ, მაგრამ მათი ასიმილაცია არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა ( Trier& Khanzhin 2007).

მუსლიმი მესხების მიერ გამოვლილი 3 გადაადგილება სხვადასხვა ტიპის იყო. ამერიკაში ლტოლვილობის სტატუსი განსხვავებულია- ეს ის შემთხვევაა, როცა მათ გარკვეული ხნის შემდეგ, ეძლევათ საშუალება მუდმივი საცხოვრებელი დაიმკვიდრონ მიმღებ ქვეყანაში. ამიტომაც ჩემი ვარაუდით, ისინი უფრო მეტად მიიღებდნენ გავლენას მიმღები საზოგადოებისგან, რადგან მათ გარკვეულწილად “სამშობლოში დაბრუნების” საუკეთესო ალტერნატივა ეძლევათ. ამერიკაში ცხოვრება ლტოლვილთა (და არა მარტო მათი) ოცნებაა. წარსული იცვლება ახალი გამოცდილებით, რომელსაც ახლავს გადმოსვლის დროს კულტურული

განსხვავებებით მიღებული ტრავმა. ლტოვილობა ამერკაში მუსლიმი მესხებისათვის გარკვეული უფლებების ქონას გულისხმობს. ამ 9 წლის მანძილზე ნაწილმა უკვე მიიღო მოქალაქეობა, ნაწილი კი ამას ვერ ახერხებს ენის არ ცოდნის გამო, მაგრამ კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას ამერიკა თავის საბოლოო საცხოვრებლად მიაჩნია.

მუსლიმი მესხების საზოგადოება არის ტრადიციული და დახურული საზოგადოება, რომელშიც ინდივიდების ქცევა განსაზღვრულია ამ საზოგადოებისათვის ისტორიულად მოცემული მოდელებით. მისთვის დამახასიათებელია სტაბილური სოციალური ქცევის წესები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ასეთ საზოგადოებაში ცვლილება ნელა მიმდინარეობს, ხოლო თვით საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მექანიკური სოლიდარობა.

მუსლიმი მესხების ოჯახში ტრადიციული მამაკაცური და ქალური როლები განსაზღვრულია გენდერული ნიშნის მიხედვით. ეს კოლექტივისტური კულტურის წამომდგენლობით და მათი რელიგიით არის განპირობებული. მათთვის დამახასიათებელია გაფართოებულ ოჯახებთან ცხოვრება, ოჯახების შექმნისას ჰომოგამია, მშობლების მნიშვნელოვანი როლი ოჯახის შექმნის პროცესში. ასევე უნდა აღინიშნოს გენდერული სეგრეგაცია განათლებაში.

კვლევის პროცესში ველოდი, რომ მუსლიმი მესხების ამერიკაში ცხოვრების მცირე პერიოდის მიუხედავად (2005 წლიდან 2014 წლამდე), ახალი საცხოვრებელი გარემო, გავლენას მოახდენდა ოჯახური სისტემის მოდიფიცირებაზე, სახლმწიფოში და საზოგადოებაში არსებული წესები ფორმას შეუცვლიდა ოჯახურ ურთიერთობებს. კერძოდ, იმის გამო, რომ ქალები უფრო მეტად აქტიურები არიან არსებულ პირობებში, ეს აისახებოდა მუსლიმი მესხების ქცევითი მოდელების ცვალებადობაზე, განსაკუთრებით, ოჯახში გენდერული ფუნქციების განაწილებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების მონაწილეობაზე.

### მეთოდოლოგია

იმიგრანტების მკვლევარები რომლებიც ასიმილაციის, აკულტურაციის, ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესებს სწავლობენ, გვიჩვენებს, თვისობრივი მეთოდების გამოყენებას, რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ ის, თუ რას განიცდიან იმიგრანტები ახალ გარემოში ცხოვრებისას. (Kim, Atkinson, Wolfe & Hong, 2001), კვლევის პროცესში ვიხელმძვანელე იმიგრაციის მკვლევარების რჩევით, (Kim et al. 2001) და სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით ჩავატარე თვისობრივი კვლევა. მასში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის და ილინოისის შტატებში 2005 წლიდან მცხოვრებმა მუსლიმმა მესხებმა. ინტერვიუება ჩატარდა 2 ეტაპად, 2012 წლის მარტსა და აპრილში კარნეგის სტიპენდიის ფარგლებში- პენსილვანიაში, და 2014 წლის თებერვალში ილინოისის შტატში, ფონდ „ღია საზოგადოების“ „ ფაკულტეტის მახრდაჭერის“ გრანტის ფარგლებში.

სულ ჩატარდა 30 სიღრმისეული ინტერვიუ . პენსილვანიაში 2012 წელს აღებულია 20 ინტერვიუ (9 ქალი და 11 მამაკაცი ) ხოლო 2014 წელს ილინოისის

შტატში 10 ინტერვიუ (4 მამაკაცი და 6 ქალი). მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 20 დან 62 წლამდე. 14 ქალი იყო და 16 მამაკაცი, 6 მათგანი კოლეჯში სწავლობდა, 3 უმაღლესი განათლებით იყო და 21 საშუალო განათლება ქონდა მიღებული. 6 მონაწილე ინტერვიუების დროს იყო დაუოჯახებელი 24 მონაწილეს ჰყავდა ოჯახი.

შერჩევითვის გამოყენებული იყო „თოვლის გუნდის“ მეთოდი.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების დროს, ყურადღება ფოკუსირებული იყო სხვადასვა საკითხებზე, რომლებიც იმიგრაციის შემდეგ აისახა მუსლიმი მესხების ცხოვრებაზე.

ინტერვიუ აღებული იქნა რუსულ ენაზე. ტრანსკრიპტები გაკეთდა რუსულად ნიუჯერსის უნივერსიტეტში და ილინოისის უნივერსიტეტში. კვლევის პროცესი მიმდინარეობდა კვლევის ეთიკის გათვალისწინებით. კვლევამ გაიარა ინსტიტუციური განხილვის საბჭო (IRB).

### მიგნებები და განხილვა

ამერიკაში გადასვლის შემდეგ ნაწილობრივ შეიცვალა მათი ტრადიციები.

**დასახლება -განსახლება.** განსახლების პროცესი მეტად მტკივნეული იყო რადგანაც განსახლების პოლიტიკის მიხედვით მათი დიდი, მრავალთაობიანი ოჯახები 3-3 წევრიან ოჯახებად გადაანაწილეს, ზრდასრული შვილები ცალკე გაუშვეს განსახლების დროს და მშობილებთან მხოლოდ არასრულწლოვანი შვილები დატოვეს. ამიტომ ზოგიერთი ოჯახის წევრი სხვადასხვა ქალაქში და ზოგი სხვადასხვა შტატშიც კი მოხვდა, როგორც კვლევის მონაწილეები ყვებიან ეს ძალიან ძნელი იყო მათთვის.

*„სრულიად შოკისმომგვრელი იყო როცა ჩემი ორი შვილი სხვა შტატში გაუშვეს საცხოვრებლად, ძალიან ცუდად ვიყავით, არც ენა ვიცოდით, და არც ის როგორ დაგვებრუნებინა ისინი ჩვენთან, აქაური წესით ხომ 18 წლის შვილებს ცალკე უშვებენ საცხოვრებლად, ეს ჩვენთვის ასე არ არის“* ამბობს 45 წლის ქალი. მოგვიანებით მათ მოახერხეს და ოჯახები გააერთიანეს. ჯერჯერობით, ამერიკაში შენარჩუნებულია ორთაობიანი ოჯახების ერთად ცხოვრება. როგორც ამბობენ, ეს ზოგავს მათ ფინანსებს და ასე უფრო უმართავენ ოჯახის წევრები ერთმანეთს ხელს.

მუსლიმი მესხები, როგორც შუა აზიაში, რუსეთშიც და ახლა ამერიკაშიც ცდილობენ არ დაკარგონ ერთმანეთთან კავშირი. როგორც სხვა მკვლევარები აღნიშნავენ (Trier, T. Khanzhin, A. 2007). ისინი დიდი ჯგუფებად ცხოვრობენ ერთმანეთის სიახლოვეს, მეზობლად. ჩვენს კვლევაში მონაწილეებმაც აღნიშნეს, ბევრი მაჰმადიანი მესხი გადავიდა საცხოვრებლად ახლა აიდაჰოს შტატში საცხოვრებელი სახლების შედარებით სიახლოს გამო და მათი აზრით, იქ ყველაზე დიდი დასახლება იქნება მუსლიმი მესხებისა. *„ჩვენ სულ ვცდილობთ ერთმანეთთან ახლოს დავსახლდეთ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა, ვიცით ვინ რომელი სოფლიდანაა გადასახლებული. ჩვენ, ყველას ერთად ჯგუფურად და მეზობლად გვიჩვენია ცხოვრება“* ამბობს კვლევაში მონაწილე 56 წლის მამაკაცი. კოლექტივისტური კულტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების შენარჩუნება მათთვის ახალ გარემოში ასეთი სახით ხდება. თუმცა ცალკეული

ინდივიდები მაინც დიდ ქალაქში ცხოვრებას ამჯობინებენ „ *აქ მეტია საშუალება დასაქმების და შვილების განვითარების, ამიტომ მე ჯერ ვერ გადამიწყვეტია გადასვლა* “ ამბობს 49 წლის ჩიკაგოში მცხოვრები მამაკაცი.

**ფინანსების განაწილება :** ახალჩამოსულმა მუსლიმმა მესხებმა, რომლებსაც რუსეთში მუშაობის უფლება შეზღუდული ჰქონდათ, ამერიკის შერეულ შტატებში მასპინძელი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავრობის დახმარებით მალე იშოვეს სამსახურები და ყველა, ვისაც ჯანმრთელობა ხელს უწყობს დასაქმებულია. თავიდან ისინი საერთო ყულაბაში ინახავდნენ მთელი ოჯახის შემოსავალს. 2012 წელს აღებულ ინტერვიუებში ჯერ კიდევ ერთად გროვდება ფული „ *ყველა ჩვენს ხელფასს მშობლებს ვაბარებთ ცოტას ვიტოვებთ ჩვენთვის, ბენზინისთვის ან ისე, რომ დაგვჭირდეს, თუ უფრო დიდი ფული იქნება საჭირო, მაშინ მშობლებს ვთხოვთ ხოლმე* „ 25 წლის ვაჟი(2012წ). მაგრამ უკვე 2014 წლის ინტერვიუებში ჩანს , რომ ერთად შეგროვებული ფული არ არის მომგებიანი ამერიკული ცხოვრებისთვის “ *ყველა ოჯახის წევრს უნდა ჰქონდეს თავისი საკრედიტო ისტორია, რომ მომავალში სხვა საქმეებისთვის გამოვიყენოთ, თავიდან ერთად ვაგროვებდით ფულს, მაგრამ ახლა უბრალოდ გადასახდებს ვანაწილებთ ოჯახის წევრებს შორის.*” 54 წლის მამაკაცი (2014წ) .

ინდივიდუალისიტურმა გარემომ თავისი პირობების შემოთაზებით შეცვალა მათი ქცევა.

**გენდერული როლები:** შეიცვალა დამოკიდებულება ქალებისა და მამაკაცების ოჯახში საქმიანობის გადანაწილებასთან დაკავშირებით. ყველა მუსლიმ მესხ ქალს აქვს მართვის მოწმობა და ჰყავს მანქანა. ისინი დამოუკიდებლად გადაადგილდებიან სხვადასხვა საქმეზე; საყიდლებზე, ბავშვების სკოლაში წასაყვანად და გამოსაყვანად, ექიმთან წასაყვანად ასევე სტუმრად მეგობრებთან და ნათესავებთან წასასვლად.“ *თავიდან ერთი მანქანა მყავდა, ჩემი სამუშაო დღე გვიან იწყებოდა, ჯერ ცოლი მიმყავდა სამსახურში, ამის გამო ძალიან ადრე მიწევდა ადგომა, მერე სახლში მობრუნებაც ბენზინის და დროის დახარჯვას ნიშნავდა, ამას ემატებოდა ბავშვების სკოლაც. გადწყვიტე მეორე მანქანა შემეძინა, ცოლისთვის, ისევ ჩემი კოფორტისთვის* “ იცინის 40 წლის მამაკაცი(2012). სახლში ქალები ისევ აქტიურად არიან ოჯახური საქმეებით დაკავებულები, მაგრამ ამერიკაში მამაკაცი ჩართულია ამ პროცესში. “ ვინც ადრე მოდის სამსახურიდან ის აცხელებს საჭმელს და აჭმევს ბავშვებს“ 38 წლის მამაკაცი (2014). ქალები დასაქმებულები არიან და შესაბამისად, თავიანთი შემოსავალი აქვთ. ფინანსური დამოუკიდებლობა თავდაჯერებულობას ჰმატებს ადამიანებს, მათ უკვე აქვთ ხმის უფლება ოჯახში და აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს ეხება არა მარტო ქალებს, არამედ ახალგზარდა თაობასაც. ინგლისური ენის ცოდნა და ამერიკაში მიღებული საშუალო, თუ კოლეჯის განათლება მათ ოჯახური საქმეების განხილვაში მონაწილეობის უფლებას აძლევს, ხანდახან კი მათი აზრი გადამწყვეტიც კია პრობლემის მოგვარებისას „ *გადასახდებს მე ვაგვარებ, აქ ხომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ინგლისურის ცოდნის და იმის გამო, რომ მე მამაზე უკეთესად ვერკვევი ამ საქმეებში, ეს მე მევალება*“ 26 წლის გოგონა 2012.

**ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესი** შეცვალა- “*ქალებს ამერიკაში აქვთ საშუალება დაფიქრდნენ და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა მიიღონ, ადრე თუ მამაკაცი იტყოდა არა, ეს იყო არა. აქ ქალია თუ კაცი არა აქვს მნიშვნელობა ერთი და იგივე ვართ*”- ამბობს გოგონა 30 წლის (2014). ქალს აქ მეტი უფლება აქვს ვიდრე ეს მის წინაპრებს ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყანაში ცოვრების დროს -“*ამერიკაში ქლებმა ამოისუნთქეს. თვალები გაახილეს, და ნახეს, რომ მათაც აქვთ უფლებები, აქ კანონები ქალის მხარეზეა, და ის თვითონ წყვეტს რა არის კარგი და რა არა*” 30 წის გოგონა (2014)

გარეგნულად ოჯახის თავი არის მამაკაცი, მაგრამ ძირითადად ყველაფერი ოჯახში ერთად წყდება. “ქალს ბევრი რამე შეუძლია, მაგრამ სხვების თანდასწრებით, არ შეიძლება ქალმა თავისი აზრი გამოხატოს, ამით ის პატივს სცემს თავის ოჯახს და მეუღლეს, ასეა მუსლიმი მესხების ოჯახში” - ქალი 27 წლის (2014)

**განათლების საკითხი ოჯახში.** განათლების გენდერული სეგრეგაცია შეიცვალა ამერიკაში საცხოვრებლად გადასვლასთან ერთად. მშობლები ცდილობენ შვილებს ფინანსურად მხარში დაუდგენ, დაეხმარონ მათ სწავლის გარძელებაში, რადგან ამერიკაში კოლეჯის დამთავრება სტაბილურ და გარანტირებულ სამსახურს ნიშნავს. კითხვაზე ვის მიანიჭებდენ უპირატესობას სწავლის დაფინანსებაში ვაჟს თუ ქალს, 56 წლის მამაკაცმა გულწრფელად აღიარა რომ “*რა თქმა უნდა ვაჟს*” პასუხი კითხვაზე - რატომ? იყო “*იმიტომ, რომ იმან უნდა არჩინოს ოჯახი, მაგრამ თუ მას სწავლა არ უნდა, ძალით როგორ შეიძლება ასწავლო? და ახლა ვისაც სწავლა უნდა იმას დავუდგები გვერდში.*” როგორც კვლევაში მნიშვნელები აღიშნავენ, და ასევე სხვა კვლევებიც ადასტირებს ამას, უმრავლეს შემთხვევებში გოგონები უკეთესად სწავლობენ სკოლებში, ვიდრე ბიჭები. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელების სურვილიც მეტი აქვთ ქალებს, ვიდრე ვაჟებს.“*ჩენ გვინდა ვისწავლოთ იმისთვის, რომ შემდეგ სტაბილური ხელფასი გვექონდეს*”-20 წლის გოგონა

“*ბიჭები იოლი გზით ფულის შოვნაზე არიან გადასულები, ძირითადად გადამზიდავ მანქანებს ატარებენ, ამას ბევრი სწავლა არ სჭირდება, მაგრამ სულ გზაში არიან*”-27 წლის გოგონა.

**შეიცვალა ოჯახი შექმნის ტრადიცია:** თუ აქამდე მშობლები წყვეტდნენ ვინ უნდა მოეყვანათ, ან ვისზე გათხოვილიყვნენ მათი შვილები, ახლა ამას ძირითად მაინც ახლაგზარდა თაობა წყვეტს. დღემდე მშობლები ჩართულები არიან ამ პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის მომავალი წევრი მათი მოსწონი არ არის, ქორწინების ჩაშლაც კი შეუძალიათ. დღეს სოციალურმა მედიამ და თანამდროვე კომუნიკაციის სისტემებმა შეცვალა გარიგებით ოჯახის შექმნის პროცესი მსულიმი მესხების ოჯახში. “*ოდნოკლასნიკები*”, “*ფეისბუკი*” და “*სკაიპი*”, ისევე, როგორ მობილური ტელეფონის “*ესემესები*” არის მნიშვნელოვანი კომუნიკაციის წყარო წყვილებითვის. თუმცა ოჯახის გაცნობა და შესაბამისი ოჯახების შეთავაზებაც ძალაში რჩება. ჰომოჰამიურობა და მონოგამიურობა ოჯახების შექმნის დროს შენარჩუნებულია. ოჯახის შექმნისას გადაწყვეტილების მიღების ევოლუციის პროცესის შედეგად, ამერიკაში გარიგებით ქორწინებაზე გოგონას თანხმობა

აუცილებელია. “ჩვენ შეგვიძლია არჩევანი გავაკეთოთ და დავქორწინდეთ იმაზე, ვინც ჩვენ გვინდა, ეს ჩვენი ცხოვრებაა.” 26 წლის გოგონა

### შედეგები და დასკვნები

კვლევის პროცესში გამოჩნდა, რომ მუსლიმი მესხების ამერიკაში ცხოვრების მცირე პერიოდის მიუხედავად 2005 წლიდან 2014 წლამდე, ახალმა საცხოვრებელმა სოციალურ - კულტურულმა გარემომ გავლენა იქონია მუსლიმი მესხების ცხოვრებაზე. როგორ ბერი (Berry 2003) ამბობს, შეცვალა მათი ქცევები ინდივიდუალურ დონეზე, მიმღები საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ქცევის თავისებურებების ნელ-ნელა მიღება ხდება. რაც მიუხედავად ორწლიანი განსხვავებისა ინტერვიუებს შორის ეს გამოჩნდა- ფინასების გადანაწილების, ოჯახში გადაწყვეტილების მიღების და ოჯახის შექმნის პროცესში.

საბანკო ანგარიშების ცალ-ცალკე ქონა, რაც გარემოს მოთხოვნაა, განაპირობებს ოჯახის წევრების, ქალების და ახალგაზრდების ფინასურ დამოუკიდებლობას. პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც ოჯახის „თავი“, ოჯახის უფროსი არის მამა, ნელ-ნელა კარგავს თავის უფლებებს. დამოუკიდებლობის ზრდა კიდევ უფრო არის მოსალოდნელი მომავალში, რაც, ჩემი აზრით, უფრო გამოკვეთილად აუცილებლად აისახება ოჯახურ სტრუქტურაზე.

გაფათოებულ ოჯახებად ცხოვრების მანერამ შეინარჩუნა ძალაუფლების ხაზი ოჯახში. ახალმა გარემომებამ ჯერ ვერ იქონია გავლენა ქორწინების ჰომოგამიურ წესებზე, რომლებიც ასევე ხაზს უსვამს მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებას და გარემოსთან ასიმილაციის წინააღმდეგობას.

მუსლიმი მესხები, ეს არის უნიკალური ჯგუფი ადამიანებისა, რომელმაც ბევრჯერ განიცადა ადგილმონაცვლეობა და ყველა გადაადგილებისას, ამერიკაში გადმოსვლამდე, ინარჩუნებდა თავს სახეს და თვითმყოფადობას.

მუსლიმი მესხების ცხოვრების პირველი 7-9 წელიწადი არის მცდელობა აკულტურაციის ორი პირობის შესრულებისა - ინტეგრაცია (კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე) და განვითარება (დაინტერესება- ჩართვა მხოლოდ კულტურული პიროვნულობის შენარჩუნებით). როგორც ბერი (Berry 2003) მიუთითებს, ლტოლვითა აკულტურაციის პროცესები სწორედ ამ მიმართულებით მიდის. სტრესული გავლენა იცვლება გარემოსთან ადაპტაციით. ჯერჯერობით, ქცევის ცვალებადობა ინდივიდუალურ დონეზეა და დროთა განმავლობაში ეს უფრო შესამჩნევი გახდება ჯგუფურ დონეზე- მუსლიმი მესხების თემში.

ინდივიდუალისტური კულტურის მქონე გარემომ, განსხვავებული განათლების სისტემამ და შრომის ბაზარმა, რომელიც არ ჰგავს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კოლექტივისტურ სივრცეებს, მოდიფიცირება გაუკეთა ოჯახურ სისტემას, შეცვალა ოჯახური ურთიერთობები.

სავარაუდოდ, ეს ხანგრძლივად მიმდინარე, განგრძობადი პროცესია. რაც ინტერვიუებს შორის დროის მცირე, ორწლიანმა განსხვავებამ უკვე საკმაოდ ნათლად აჩვენა. დიდად სავარაუდოა, რომ ცვლილებებს კიდევ ექნება ადგილი მომავალში. საინტერესო იქნება ლონგიტუდური კვლევის ჩატარება და ამ პროცესზე დაკვირვება.



**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Berry, J.W. (2003) Conceptual approaches to acculturation. In K.M.Chun, P.B.Organista & G. Marin (eds.), *Acculturation: advances in theory, measurement, and applied research* (pp.17-37). Washington, DC: American Psychological Association;
2. Berry, J. W. (1997). Immigration, acculturation and adaptation. *Applied Psychology*, 46(1), 5-34;
3. Berry, J. W. (1986). The acculturation process and refugee behavior. In C.L. Williams & J. W. Stermeyer (eds.) *Refugee mental health in resettlement countries*. (pp.25-38). Washington, DC: Hemisphere Publishing Corporation;
4. Creswell, J. (2014). *Research Design: Qualitative, quantitative and mixed methods approach*. 4th Ed. Thousand Oaks. Sage Publication;
5. Gordon, M. M. (1964). *Assimilation in American life*. The Role of Race, Religion, and National Origins. New York: Oxford University Press;
6. Kim, B. S. K., Yang, P. H., Atkinson, D. R., Wolfe, M. M., & Hong, S. (2001). Cultural value similarities and differences among Asian American ethnic groups. *Cultural Diversity and Ethnic Minority Psychology*, 7, 343-361;
7. Oudenhoven J.P (2006) *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology* edited by D.L. Sam & J. Berry. Cambridge University press 2006;
8. Shakibai, S. (2005). An examination of collectivist cultural orientation among Middle Eastern College students of different gender generation status, and academic class standings. A thesis submitted to the University of Maryland. Baltimore;
9. Trier, Tom and Andrei Khanzhin, eds. (2007). *The Meskhetian Turks at a Crossroads: Integration, Repatriation or Resettlement?* Berlin, Germany: LIT Verlag: Berlin;
10. Weiss, R, S; (1994) *Learning from strangers : the art and method of qualitative interview studies* / New York : Free Press ; [Toronto: Maxwell Macmillan Canada ; New York Maxwell Macmillan International];

---

**Article received: 2014-04-30**